ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3368608

ნომერი: AR1519507

თარიღი : 03.07.2017

გაცემის თარიღი : 04.07.2017

გაცნობის თარიღი : 04.07.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. წერეთლის, მესხიშვილის და ვახტანგ VI-ის ქუჩებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ილია ხავთასი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ნიკე"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406175641
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ამირ თავასოლი, ბეჰზად რაჰიმი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018003979, 01593000234

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1984590
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 1.07.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქუჩაზე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარედ, გ. წერეთლის, მესხიშვილისა და ვახტანგ VI–ის ქუჩებს შორის, შ.პ.ს. "ნიკე"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სასტუმროს მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მშენებლობა ნაწარმოებია სამსახურის 15.05.2015 წლის №1895788 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. შესაბამისად, საჭიროა განაცხადი დაარეგისტრიროთ შეთანხმებული პროექტის ცვლილების მოთხოვნით და წარმოადგინოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე, თქვენს მოთხოვნას ქ. თბილისში, კგრიშაშვილის ქუჩაზე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარედ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს. სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში დარეგისტრირების შემდგომ სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს თქვენი მოთხოვნის შესახებ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.